ბიბლიოთეკა
თბილისი
2338
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა, 26 აპრილი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 17 (228). ფასი 30 კაპ.

მწერლობის ამოცანები სამამულო ომის ახალ ეტაპზე

მალე უკვე ხუთი თვე შესრულდება, რაც საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი წითელი არმია შეტევით ბრძოლას აწარმოებს ვერაგ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ, მიერეკება რა ფაშისტურ დივიზიებს დასავლეთისაკენ. უკვე მეხუთე თვეა ინიციატივა ჩვენმა ჯარმა ჩაიგდო ხელში და ფაშისტური გერმანიის ძალზე შეფერთხილი და დანჯღრეული მანქანის ყოველგვარი ცდა უმწეო აღმოჩნდა შეეჩერებინა ჩვენი არმიის შეუპოვარი წინსვლა. ჩვენი შეიარაღებული ძალების შეტევითი ძლიერება, რაც მუდამ დღე უფრო და უფრო მომაკვდინებელი ხდება ფაშისტ დამპყრობელებისათვის, გერმანიის ხალხსა და ჯარში იწვევს თანდათან უფრო მეტ შეშფოთებას, დაბნეულობას, უიმედობას და სასოწარკვეთილებასაც კი.

ფაშისტური პროპაგანდა სცდილობს გაამხნეოს გერმანელი ჯარისკაცი, აამაღლოს მისი საბრძოლო სულისკვეთება და შეაჩეროს უიმედობის ზრდა. სწორედ ამ მიზნით იგი მთელს მსოფლიოში გაჰყვირის, რომ გერმანიის ჯარის უკან დახევა თითქოს დროებითი ყოფილიყოს, თითქოს იგი ტაქტიკური მოსაზრებით იყოს ნაკარნახევი, რომ გაზაფხულისათვის ფაშისტური გერმანია კვლავ მოიკრებს ძალებს, კვლავ გადმოვა შემოტევაზე და შეასრულებს იმ ამოცანას რომლის გადაჭრისათვის ესოდენად დიდი მსხვერპლი გაიღო და რომელიც მაინც გადაუჭრელი დარჩა. მაგრამ დღეს არა თუ სხვა ქვეყნებში, არამედ თვით გერმანიაშიაც კი აღარავის სჯერა ფაშისტური სარდლობისა და გებელსის მოსყიდული კალმოსნების ეს რელიაციები. უცხოეთის გაზეთების ცნობით, ამ უკანასკნელ თვეებში გერმანული სასამართლოები დატვირთულნი არიან მხოლოდ ისეთი საქმეებით, როგორიც არის სახელმწიფოს მოღალატეობა და რწმენის დაკარგვა გერმანიის საბოლოო გამარჯვებაში. ფაშისტური საპატიმროები სავსეა ჯარისკაცებით, რომელთაც ბრალად ედებათ დეზერტირობა და თავის დასახიჩრება იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ მოწინავე პოზიციებზე გასვლა.

ფაშისტური ჯარის დემორალიზაციის აშკარა ნიშნების მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ გებელსის სამინისტრომ გამოსცა საგანგებო არიული ლოცვა, რომელიც გერმანელმა ჯარისკაცმა ფრონტზე დღეში სამჯერ უნდა წაიკითხოს, რათა გამხნევდეს და გამარჯვების რწმენა განიმტკიცოს, ამასთან ფაშისტები ყველა დივიზიაში ჯარისკაცებისგან მოითხოვენ ხელწერილს, რომ არაფრის გზით ისინი დაკავებულ პოზიციებიდან უკან არ დაიხევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფიცის დამრღვევნი სიკვდილით იქნებიან დასჯილნი. ფაშისტური არმიის ჯარისკაცი არც ფიზიკურად და არც მორალურად აღარ არის ისეთი, როგორიც ომის პირველ თვეებში იყო. დამწვირიანებული, ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილი, დატილიანებული, შეუწყვეტელი ბრძოლებით ქანცგამოლეული და დაუძლურებული დღეს იგი უფრო საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ოცნებობს, ვიდრე ჰიტლერის გიჟური გეგმებისთვის ბრძოლის გაგრძელებაზე. გაბოროტებისა და სასოწარკვეთილების დაღი აზის გერმანელი ჯარისკაცის ყველა იმ წერილს, რომელსაც ასე ხშირად აქვეყნებს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო. ასეთი ჯარით ფიქრობს გერმანია განახორციელოს ის, რაც მან ვერ განახორციელა მაშინ, როცა ჰყავდა იოლი გამარჯვებებით განებივრებული და მთელი ევროპის ტექნიკით შეიარაღებული არმია. მაგრამ ფაშისტური გერმანიის სამხედრო მანქანის ასეთი დანჯღრევა და დაუძლურება საბჭოთა ხალხს არ აძლევს საფუძველს უზრუნველობისა და უდარდელობისათვის. ფაშისტური ნადირი დაჭრილია, მაგრამ მოსპობილი არ არის. უეჭველია, ამ გაზაფხულზე თუ არა, ზაფხულზე მაინც შეეცდება იგი კვლავ გადმოვიდეს შემოტევაზე და მიაღწიოს, თუ გამარჯვებას არა, ისეთ ეფექტს მაინც, რომელიც გაახანგრძლივებს მის არსებობას.

საბჭოთა ხალხს, მის მთავრობასა და არმიას კი მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი, რომ წელს გაანადგუროს, აღგავოს მიწის პირისაგან გერმანული ფაშიზმი, განდევნოს იგი საბჭოთა მიწა-წყლიდან. ამ გადამწყვეტი ომისათვის ემზადება დღეს ჩვენი დიდი სამშობლო. მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი ინტელიგენციის, კერძოდ, მთელი ჩვენი მწერლობის გულისყური ყველა ღონისძიება, მთელი ენერგია იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ჩვენმა არმიამ წელს ბრწყინვალედ დაასრულოს გერმანელ ოკუპანტებისაგან საბჭოთა რესპუბლიკების განთავისუფლების დიადი მისია.

სამამულო ომის ამ ეტაპზე უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს საბჭოთა მწერლის როლი, როგორც აგიტატორისა და პროპაგანდისტის. საბჭოთა მწერალი მოწოდებულია — აღვივებდეს შრომით ენტუზიაზმს და პატრიოტულ განწყობილებას ჩვენი საწარმოებისა და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებში. უნდა გახშირდეს მწერალთა ბრიგადების გასვლა ჩვენს ქარხანა-ფაბრიკებში, სამხედრო ნაწილებში, სარაიონო ცენტრებსა და კოლმეურნეობებში. მწერალთა კავშირის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობას სისტემატური და გეგმიანი ხასიათი უნდა მიეცეს. თავის დასაყრდენ ბაზად მან მწერალთა კლუბი უნდა გადააქციოს. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომებზე, აგრეთვე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არა ერთხელ ითქვა, რომ ჩვენ საპროპაგანდო-საგიტაციო მიზნებისათვის არა გვაქვს გამოყენებული მთელი ის შესაძლებლობა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება. არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ჩვენს კლუბში უნდა იმართებოდეს თემატიური საღამოები სამამულო ომის საკითხებზე, ეწყობოდეს შეხვედრები ფრონტისა და ზურგის გმირებთან, სამამულო ომის გმირების ოჯახების წევრებთან ეწყობოდეს საღამოები ახალგაზრდობისა და ბავშვებისათვის, ამასთან ამ საღამოებში მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ არა მარტო ქართველ საბჭოთა მწერლებს, არამედ ამჟამად თბილისში მცხოვრებ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ცნობილ მწერლებს და ხელოვნების მუშაკებს. მთელი ამ ძალების დარაზმვა და აღნიშნული მიზნისათვის გამოყენება ეჭვი არ არის დიდი იდეურ-მხატვრული ხარისხით აღჭურავს კლუბში მოსაწყობ საღამოებს და შეხვედრებს, გადააქცევს კლუბს ისეთ ადგილად, სადაც დიდი ხალისით მოვა მასობრივი მსმენელი და სადაც იგი აამაღლებს თავის პატრიოტულ განწყობილებას, მიიღებს ახალ ძალასა და ენერგიას ახალი საგმირო საქმეების ჩასადენად ფრონტსა და ზურგში. მწერალთა კავშირის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ სამამულო ომის მიმდინარე მომენტის შესაბამისად უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა, აამოქმედოს და აამუშაოს მთელი ჩვენი აქტივი, ყველა ჩვენი მწერალი.

ახლოვდება გადამწყვეტი ბრძოლის თვეები, ახლოვდება გერმანული ფაშიზმის განადგურების ჟამი. დავძაბოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობა, მთელი ჩვენი ენერგია, რომ ჩვენც ღირსეულად მოვიხადოთ საბჭოთა პატრიოტის დიდი ვალი და ჩვენი წვლილი შევიტანოთ გერმანული ფაშიზმის მოსპობის წმინდა და უკვდავ საქმეში.

სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერა მწერალთა შორის

მწერალთა შორის დიდი გამოხმაურება ჰპოვა სახელმწიფო სამხედრო სესხმა. სესხის გამოშვებაზე მთავრობის დადგენილების გამოქვეყნებისთანავე მწერალთა კლუბში მოწვეულ იქნა საბჭოთა მწერლების მწერალთა კავშირის და მასთან არსებულ ლიტორგანიზაციების თანამშრომელთა საერთო კრება.

მოხსენება სახელმწიფო სამხედრო სესხის მნიშვნელობის შესახებ გააკეთა მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ირაკლი აბაშიძემ.

სამხედრო სესხის უდიდეს მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს ამხ. შალვა დადიანმა, სანდრო ეულმა, ლეო ქიაჩელმა და ნიკოლოზ ჩაჩავამ. კრების დასრულებისთანავე ჩატარდა სესხზე ხელისმოწერა, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ დასრულდა.

მწერალთა კავშირისა და მასში შემავალ ლიტორგანიზაციების თანამშრომელთა უმრავლესობამ სესხზე ხელი მოაწერეს თვენახევრისა და ორი თვის ხელფასის რაოდენობით. თანამშრომელთა შორის გავრცელებულ სესხის საერთო ჯამი უდრის 20.000 მანეთს, ხოლო მწერალთა შორის გავრცელებულ სესხისა—25.000 მანეთს.

სესხზე ხელი მოაწერეს შ. დადიანმა—2.000 მანეთზე. ირაკლი აბაშიძემ—2.300 მანეთზე, სანდრო ეულმა — 2.000 მან. ი. ლისაშვილმა 2.000 მანეთზე, ან. ანტონოვსკაიამ 10.000 მანეთზე, გ. ქიქოძემ 1.000 მან. და სხვ.

საბჭოთა მწერლების შორის მწერალთა კავშირის და მასთან გაერთიანებულ ლიტორგანიზაციებში სახელმწიფო სამხედრო სესხი გავრცელდა 45.500 მანეთის რაოდენობით.

ერთი შეცდომის ამბავი

სერგო კლდიაშვილი

— მობრძანდით თქვენი ჭირიმე, მობრძანდით!—ხალისით მიეგება ელენე მოულოდნელ სტუმრებს.

პარტკომის მდივანი, თემსაბჭოს თავმჯდომარე, რამდენიმე მეზობელი კოლმეურნე და მათ შორის აფთიაქის გამგე, რომელსაც აქამდე ამ ეზოშიაც ფეხი არასოდეს შემოუდგამს, ხმაურით და მხიარულად სახლში შევიდნენ.

გარედ თოვდა. ქარი ბორგავდა. ქარი ნამქერს ატრიალებდა.

ჩვეული სიმკვირცხლით ელენემ ჩაამწკრივა დაბალი სამფეხა სკამები და ყველანი ცეცხლისპირად მიიპატიჟა.

— აგერ გენაცვალე, ცეცხლთან. შეთბით, თქვენი ჭირიმე!—ფუსფუსებდა, კერიას შეშას აყრიდა.

მხოლოდ მაშინ, როცა სტუმრები ჩამოჯდნენ, ელენემ თვალი მოავლო მათ და ფიქრმა გაუელვა: რისთვის მოვიდნენ? რა მიზეზია, რომ ქარბუქსაც არ დაერიდნენ და ეწვივნენ?

გრძნობდა მხოლოდ, რომ ცუდი ამბავი არ მოუტანიათ. ყველანი მხიარულ გუნებაზე იყვნენ. რაიმე ცუდი რომ მომხდარიყო, მათი სახე და ლაპარაკის კილო მაინც გაამჟღავნებდა.

პარტკომის მდივანმა გათოშილი ხელები მოითბო და შემდეგ ელენესკენ მიმართა:

— გილოცავ, ამხანაგო ელენე! შენი დიმიტრის ვაჟკაცობა მარტო შენთვის კი არა, ყველა ჩვენთვის, მთელი თემისათვის სასახელოა!

ელენემ გაკვირვებით მიაჩერა თავისი ცისფერი თვალები.

— რა მოხდა, შენი ჭირიმე?—ხმა აუკანკალდა ქალს.

შვიდმა თვემ გაიარა, რაც ქმარი ომში ჰყავდა. მისგან არაერთი წერილი მიიღო, მაგრამ არაჩვეულებრივი და მილოცვის ღირსი შიგ არაფერი ამოუკითხავს.

— არ ცოდნია! უმახარობლეთ! — გაისმა ხმები.

თემსაბჭოს თავმჯდომარემ მაშინ უბის ჯიბიდან ახლად მიღებული გაზეთი ამოიღო, გადაშალა და კითხვა დაიწყო.

მოკლედ, მაგრამ საკმაოდ გასაგებად აღწერილი იყო, თუ რა მოიმოქმედა წითელარმიელმა დიმიტრი გელაშვილმა. ხუთ ამხანაგთან ერთად ხანგრძლივი დროით შეაჩერა კონტრშეტევაზე გადმოსული მტრის რაზმის ნაწილი, ხოლო როცა ტყვია შემოეხარჯათ, ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. მრავალი დახოცეს და ნადავლიც დარჩათ. ამ გმირობისათვის დიმიტრი, რომელიც სერჟანტის მოკვლის შემდეგ ამხანაგებს ხელმძღვანელობდა, დააჯილდოვეს მედლით „მამაცობისათვის“.

უეცარმა ბედნიერებამ გააბრუა ელენე. სხვა დროს მოუსვენარი, სიცოცხლით სავსე და ენამახვილი, ახლა გაოგნებული იდგა. მომეტებულ სიხარულისაგან ხმის ამოღების უნარიც წართმეოდა. ჩუმად იყო და თავის სიხარულს მხოლოდ იმით ამჟღავნებდა, რომ ალერსიან თვალებს ხან ერთს მიაპყრობდა, ხან მეორეს. ერიდებოდა მათი თორემ გადაეხვეოდა ყველას და გადაჰკოცნიდა.

ყველამ მოულოცა, ყველამ ხელი ჩამოართვა.

რა ქნას ახლა? რით გადაუხადოს მადლობა ასეთ ამბავის მოტანისათვის? ისე როგორ გაუშვებს ამ პატიოსან სტუმრებს, თუ სამაგიერო პატივი არ სცა! დატრიალდა, დაფაცურდა, მაგრამ ვინ აცალა. სოფელში მრავალს გაეგო და ხალხი თანდათან მოდიოდა მისალოცავად.

მეორე დღეს სოფლის საბჭოში საგანგებო კრებაც გაიმართა. თითქმის ყველა მოსახლე დაესწრო. დიმიტრი უყვარდათ და მისი დაჯილდოების ამბავი ყველას გულწრფელად გაუხარდა. ელენე პრეზიდიუმის წევრებს შორის დასვეს. ჩვეულებრივ დროს მოუსვენარი, ახლა ისე დინჯად და უძრავად იჯდა, თითქო სკამზე დაკრული ყოფილიყო.

მრავალმა ქალმა და კაცმა წარმოსთქვა სიტყვა. ყველა სასახელოდ სთვლიდა სამშობლოსათვის დიმიტრის თავგანწირვას. ყველას მოვალეობად მიაჩნდა ფრონტისათვის ზურგი კიდევ უფრო განემტკიცებია, სამშობლოს კეთილდღეობაზე ეზრუნა, ყველა თავის ერთგულებასა და სიყვარულს გამოსთქვამდა დიდი ბელადისადმი.

ელენეს ასეთი სიხარული აქამდე არასოდეს განუცდია. შინ დაბრუნებისას კიდევ დიდხანს თავი სიზმარში ეგონა, არა, ქმარი ყოველთვის უყვარდა და საქებარ კაცად მუდამ მიაჩნდა, მაგრამ რას იფიქრებდა, თუ ასეთი ღირსეული ვაჟკაცი იმალებოდა იმ ჩუმ, ბუნჩულა ადამიანში, რომელსაც აქ ბავშვის წყენაც არ შეეძლო და ყველასთან თავდაბალი იყო. ერთხელ მაინც შეახედინა ახლა მისთვის...

იმავე დღეს ელენემ ქმარს მისწერა. მიულოცა, დაწვრილებით აღწერა, თუ რა სიხარული იყო სოფელში.

ბოლოს საყვედური შეუთვალა:

...„ბიჭო, ეგ ამბავი ერთი თვის წინად მომხდარა. რა ღმერთი გაგიწყრა, ასე რამ გაგაზარმაცა, რომ ორი სიტყვით მაინც არ გამაგებინე. შენ თუ მანდ მასახელე, პირობას გაძლევ, აქ სირცხვილი არაფერში გაჭამო. შენ რომ გაგეხარდება, ოჯახს ისე დაგახვდები. მე ვიცოდე და ჩემმა ქალობამ. ნუ ხარ ბიჭო უშნო, დროით მოიწერე. ყველა მოლოდინშია დაწვრილებით გაიგოს შენი ამბავი“.

ყოველ დღე ელოდა ელენე წერილს, მაგრამ დღე დღეს მისდევდა და ქმრისაგან არაფერი ისმოდა.

ჯავრი მოსდიოდა და თან რცხვენოდა,—სოფელმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა დიმიტრის, ასეთი პატივი სცა, მან კი პასუხად უბრალო მადლობაც არ შემოთვალა.

მოუთმენელ ლოდინში გაიარა თვეზე მეტმა და ერთ დღეს ელენეს ფოსტალიონი ეწვია. დიმიტრისაგან წერილი მოუტანა. ფოსტალიონს რამდენიმე მეზობელიც შემოჰყვა.

ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახლა მაინც დაწვრილებით მოისმენდენ სასახელო მეზობლის გმირობის ამბავს.

გახარებულმა ელენემ გახსნა კონვერტი და გარშემოკრებილთა გასაგონათ ხმამაღლა დაიწყო კითხვა.

პირველი სტრიქონი ხალისით ჩაათავა, მაგრამ ხალისი ერთობ ხანმოკლე გამოდგა. ის, რაც შემდეგ წაიკითხა, ისე მოულოდნელი და გულისმომკვლელი იყო, რომ ხმა ერთბაშად ჩაუწყდა. მომკვდარიყო ერჩია, ოღონდ ეს სირცხვილი არ დამართოდა.

ქმარი სწერდა, რომ გაკვირვებული დარჩა მიღებული დეპეშითა და მისი წერილით, მართალია, ბრძოლაში ბევრჯერ ყოფილა, მაგრამ არაფერი იმის მსგავსი, რაც გაზეთში წაუკითხავთ, მას არ გადახდენია და არც მედალი მიუღია. ალბათ, სწერდა ბოლოს, სხვა ვინმეა ის დიმიტრი გელაშვილი. ერთხელ შემთხვევით ყური მოვკარი, რომელიღაც სხვა ნაწილში არის ასეთი კაციო...

სიჩუმე ჩამოვარდა. ფოსტალიონი ისე შეუმჩნევლად გაიპარა, თითქო დამნაშავედ იგრძნო თავი ამ წერილის მოტანისათვის. ხალხი ხმაამოუღებლად შემოეცალა ელენეს.

დანაღვლიანდა ქალი. ის დღე იყო და, აღარ ისმოდა მისი სიცილი. ყველას ერიდებოდა. სცხვენოდა. შინ ჩუმჩუმად ერთი-ორჯერ კიდეც წაუტირა.

ელენეზე ნაკლებ არც დიმიტრის უდარდნია. მთელმა საზოგადოებამ მოულოცა, თავისი სიხარული გამოსთქვა და შეაქო, ნამდვილად კი ტყუილი გამოდგა ყველაფერი. თემიც და თავისი თავიც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. წარმოდგენილი ჰქონდა, რა გუნებაზე იქნებოდა საყვარელი ცოლი და ოჯახი.

სწუხდა, მაგრამ რა ექნა?

ფიქრობდა იმ სხვა გელაშვილზე... ვინ იყო? სადაური? ვინ იცის კიდევ რამდენი გელაშვილია და რომელ სოფელში... ჰო, მაგრამ იმ ოჯახაშენებულს რაღა მისი სახელი ერქვა!

ერთ საღამოს დიმიტრიმ დაინახა, რომ ლეიტენანტი არმიელებს ამგზავრებდა მტრის ზურგში დასაზვერად. დიმიტრიმ ითხოვა მეც გამიშვითო, მოისმინა დავალება და სხვებთან ერთად გზას გაუდგა.

ბნელ ღამეში წავიდნენ. ღრმა თოვლს მიაპობდენ. მოხერხებულად გადასჭრეს მტრის ხაზი და ბოლოს სოფელს მიადგნენ. სიბნელეში ოდნავ სჩანდნენ თოვლში ჩაფლული დაბალი ხის შენობები. ფრთხილად, ხოხვით მივიდნენ ერთ სახლთან. დიდხანს უთვალთვალეს, უყურადეს, სახლის წინ გერმანელი გუშაგი დაინახეს. ციოდა ალბად, რადგან წარამარა ხელებს იორთქლავდა და ყინულზე ფეხებს უბაკუნებდა. დიმიტრი შეუმჩნევლად მიეპარა გერმანელს და სანამ ის იარაღის მომართვას მოასწრებდა, მისივე მაზარის კალთა თავზე მოახვია და ხმის ამოღების საშუალებაც აღარ მისცა. ამის შემდეგ არმიელები სახლში შეიჭრნენ. ოთახში ოთხი ფაშისტი ოფიცერი აღმოჩნდა. ეცათ არმიელების დანახვა, იარაღი მოიმარჯვეს, ერთი არმიელი დასჭრეს კიდეც, მაგრამ მისი სისხლი ძვირად დაუჯდათ. მზვერავებმა სამი ოფიცერი იქვე ჩაკეცეს სამუდამოდ, მეოთხე კი, რომელსაც მონოკლი ჰქონდა, დიმიტრიმ ღვედებით შეკრა, რაც რამ საბუთი იპოვა ოთახში უბეში ჩაიწყო. მონოკლიანი ზურგზე მოიდვა და გარედ გავიდა. დაჭრილ არმიელს მხრებში შეუდგნენ ამხანაგები და გაბრუნდნენ. ის იყო სოფელი ჩაათავეს, როცა იქიდან სროლა გაისმა. სჩანდა იქ გაევოთ და მათ ეძებდნენ. იჩქაროდნენ დიმიტრი და მისი მეგობრები, სოფლის მხრიდან კი უწესრიგო სროლა ძლიერდებოდა.

ოფიცერი, რომელსაც ზურგით მიათრევდა დიმიტრი, ფართხალებდა და სიარულს უძნელებდა.

— რას ფხაკურობ შე ეშმაკის კერძო!—შეუკურთხა დიმიტრიმ—ხომ ხედავ თვალის ჩინივით გიფრთხილდები, ფეხით სიარულიც არ გაკადრე. შენც აიღე და შეიშვნე ასეთი პატივისცემა!

დიმიტრი მხოლოდ ნაწილში დაბრუნებისას დარწმუნდა, თუ რა სასარგებლო საქმე გაეკეთებინათ: საველე შტაბი და საიდუმლო საბუთები ჩაეგდო ხელში. მონოკლიანი ოფიცერი კი, რომელიც ყვირილივით იფხორებოდა და ბრაზით შეჰყურებდა მის „პატივისმცემელ“ შავტუხა ბიჭს, შტაბის უფროსი აღმოჩნდა.

რამდენიმე კვირა გავიდა ამ ამბავის შემდეგ.

ამ ხნის განმავლობაში დიმიტრისა და ელენეს ერთმანეთისაგან წერილი არ მიუღიათ. თითქო უბრად იყვენო.

წინანდური ხალისით აღარც ელოდა ელენე ქმრის წერილს. აღარც მეზობლებთან ლაპარაკობდა ქმარზე. სიტყვას ბანზე აისვრიდა, როცა ვინმე დიმიტრიზე სიტყვას ჩამოუგდებდა. თითქო დავიწყებას მიეცა რამდენიმე თვის უნახავი კაცი, რომელთანაც ერთ ჭერქვეშ სამი წელიწადი მეგობრულად იცხოვრა. რა თქმა უნდა, ფიქრით თავს დასტრიალებდა თავისი ცხოვრების მეგობარს, მაგრამ იმ ერთი დღის მოგონება გულში ხინჯათ ჰქონდა და თითქო დიმიტრი ყოფილიყო ამაში დამნაშავე, ხალხში მისი სახელის ხსენებასაც ერიდებოდა. სოფელს რომ ისერიგად არ გახარებოდა და საზეიმო კრება არ გამართულიყო, კიდევ არაფერი მაგრამ როცა იმდენი ყურადღებისა და საერთო აღფრთოვანების შემდეგ ყველაფერი ტყუილი გამოდგა, ეს სირცხვილად მიაჩნდა და თავს გულნაკლულად გრძნობდა. რას იზამ ახლა, მოხდა შეცდომა და ისევ მისი დავიწყება სჯობს. არა უშავს რა. ოღონდ დიმიტრი კარგად იქნებოდეს და ამასაც გაუძლებს...

მეზობლები აშენათ ღმერთმა, არასოდეს არ უგრძნობებიათ უხერხულობა, ერთხელაც არ შეუნიშნავს ელენეს, რომ მისდამი პატივისცემა შეუმცირდათ. პირიქით, მეტ ყურადღებას იჩენდენ და ზრუნავდენ მასზე.

ჩვეულებრივად დაწყებული ერთი დღე უჩვეულოდ დასრულდა ელენესათვის.

არავის ელოდა იმ კვირა საღამოს და უეცრად ისევ ეწვივნენ პარტკომის მდივანი, თემსაბჭოს თავმჯდომარე და კუთხე-მეზობლები.

ამ ჯერზე პარტკომის მდივანმა გაშალა გაზეთი და თანაც დიმიტრისაგან გამოგზავნილი წერილი გადასცა. გაზეთში და წერილში ვრცლად იყო აღწერილი ის ამბავი, რამაც ელენეს გული სიხარულით აღუვსო.

დიმიტრი დაწვრილებით ატყობინებდა რა გადახდა იმ ღამეს, როცა დასაზვერავად წავიდა, რა სარგებლობა მოიტანა მტრის შტაბიდან წამოღებული საბუთების გაცნობამ და მეორე დღეს რა დიდი ზარალი მიაყენეს ფაშისტების ჯარს. ამ ბრძოლაში დიმიტრი დაჭრილიყო, მაგრამ მწყობრი არ დაეტოვებინა და ბოლომდე მტერს ანადგურებდა.

— „ასე იყო ჩემო თვალისჩინო — სწერდა ბოლოს დიმიტრი — და ახლა სოფლისა და შენს წინაშე შერცხვენილად აღარ მიმაჩნია თავი. იმ სხვა გელაშვილმა თუ ჯილდო მიიღო, მეც გელაშვილი ვარ, მეც დიმიტრი მქვია, მაგრამ ახლა ჩვენს შორის ის პატარა განსხვავებაა, რომ მე „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დამიმშვენეს გულმკერდი. შენ კარგად იყავი და შენი დიმიტრი საყვარელ ოჯახს, საყვარელ სოფელსა და საყვარელ ბელადის სახელს არსად და არასოდეს არ შეარცხვენს“.

გმირული ეპოპეა

„ცარიცინის დაცვა“.

29 მარტიდან საბჭოთა კავშირის მთავარი ქალაქების კინო-თეატრებში მიდის ისტორიული მხატვრული ფილმის „ცარიცინის დაცვის“ პირველი სერია. ფილმი უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა მაყურებელში. მაღალი შეფასება მისცა მას ცენტრალურმა პრესამაც. გაზეთ „პრავდაში“ პოეტმა ა. სურკოვმა ვრცელი წერილი მოათავსა ამ ფილმზე. სხვათა შორის ამხ. სურკოვი სწერს:

„ხელოვნების ნაწარმოები, ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი, მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი და ქმედითი, როცა იგი არა მხოლოდ ამდიდრებს მკითხველს თუ მაყურებელს წარსულზე ცოდნით, არამედ ჰბადებს მასში ანალოგიას თანამედროვეობასთან, აღძრავს ფიქრებს დღევანდელობაზე. ეს ჭეშმარიტება თავის დროზე ბრწყინვალედ იქნა დამტკიცებული ნამდვილი სახალხო კინოფილმით „ჩაპაევით“, რომელიც დასდგეს რეჟისორებმა ძმებმა ვასილიევებმა. ახლა „ჩაპაევის“ ავტორებმა დაამთავრეს მუშაობა ახალი კინოფილმის „ცარიცინის დაცვის“ პირველ სერიაზე, რომელიც მიძღვნილია ჩვენი ხალხის საბრძოლო წარსულისადმი.

ვოროშილოვის ცნობილი ლაშქრობის ჩვენების შემდეგ „ეკრანს გადავყევართ ცარიცინში. ქალაქი დიდი ამბის წინაშე დგას. იგი მოელის სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო რწმუნებულის ამხანაგი სტალინის ჩამოსვლას. ორი ჯგუფი უცდის მოსკოვის მატარებელს. პერონზე თავი მოუყრიათ ქალაქის ადმინისტრაციას, სარდლობის წარმომადგენელთ. უაზროთ მიდი-მოდის „ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება“ მოლაყბე და უსაქმური რინდინი. ერთმანეთს ირონიული გამოთქმებით ესაუბრებიან, პოზიორობენ და ყოყოჩობენ სამხედრო სპეციალისტები ოლქის შტაბიდან. მეორე ჯგუფში, ლიანდაგზე, მტვირთავი ქალი კატია დავიდოვა მწვავედ აკრიტიკებს ცარიცინის ოპორტუნისტულ ხელმძღვანელობას. და ამ ვიწრო წრეში შეუმჩნევლად შემოდის ახალი კაცი. იგი ყურს მიუგდებს მოსაუბრეებს, ზუსტი შეკითხვით, მოსწრებული რეპლიკით როგორც თავისიანი, როგორც დიდიხნის ნაცნობი მეგობარი შემოვიდა მებრძოლ მეგობართა ამ წრეში. სპეციალურად სახალხო კომისრის შესახვედრად გამოკიდებულ ტრანსპორანტს ქვეშ ის მუშებთან ერთად მიაბიჯებს რწმუნებულის ვაგონ-სალონისაკენ. და შეცბუნებული ქალაქის მამები მასში ცნობილობენ... სტალინს.

ასე შემოდის ფილმში მისი მთავარი გმირი. რეჟისორებმა და არტისტმა გელოვანმა, სჩანს, ბევრი იმუშავეს, იმუშავეს დაკვირვებულად, რომ შეექმნათ ისტორიულად მართალი, ცოცხალი სახე ბელადისა. დიდი მოხერხებით და ტაქტით რეჟისორებმა და აქტიორებმა აღადგინეს ცარიცინში ამხანაგი სტალინის მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები.

სტალინი შემოდის სურათში, როგორც ბელადი, მთელი თავისი არსებით სახალხო მასებთან დაკავშირებული, მათი ფიქრებითა და გრძნობებით მსუნთქავი, მათგან მოყვარული და ღრმად დარწმუნებული ხალხის შემოქმედებითს გონიერებასა და ძალაში...

სტალინის როლზე მუშაობა ამ ფილმში უთუოდ წარმოადგენს ახალ სასიხარულო ეტაპს ნიჭიერი მსახიობის გელოვანის შემოქმედებითი ინდივიდუალობის განვითარებაში, კარგად მიჰყავს ვოროშილოვის საპასუხისმგებლო როლი მსახიობ ბოგოლიუბოვს. პერჩიხინის სახე ცოცხლად აქვს მოცემული მსახიობ ჟაროვს, უკეთესი იქნებოდა კატია დავიდოვას როლში მსახიობი ქალი მიასნიკოვა, რომ ზოგიერთ სცენაში იგი თავს რამდენადმე შებორკილად არ გრძნობდეს. მაყურებელს ამახსოვრდება ბაბოჩკინის თამაში. რეჟისორების მთავარი წარმატება ის არის, რომ მთელი ანსამბლი თამაშობს შეხმატკბილებულად, ძალდაუტანებლად.

განსაკუთრებული სიძლიერით იგრძნობს ამ სურათს საბჭოთა მაყურებელი ჩვენს მღელვარე დღეებში. ვაჟკაცური უბრალო სახე სტალინისა ცარიცინის დაცვის ბოლშევიკური ნებისყოფის გამასახიერებელი ადამიანია, საბჭოთა ადამიანების გულს ავსებს მტკიცე რწმენით, რომ ეს დიდი სამამულო ომიც ჩვენი ხალხის გამარჯვებით დამთავრდება. ყოველი ჩვენგანი კითხულობს იმ სტრიქონებსა და სტრიქონებს შუა, რომლებიც ცარიცინთან თეთრგვარდიელთა განადგურების ამბავს მოგვითხრობენ, ცოცხალ ამბავს სტალინზე, მოსკოვთან გერმანელ ფაშისტ ურდოების განადგურების ორგანიზატორზე, მტერზე ჩვენი მოახლოვებული სრული გამარჯვების ორგანიზატორზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენის დიდი ოსტატი

სტალინურ ლაურეატთა სახელოვან ოჯახს შეემატა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი და რეჟისორი ამხ. აკაკი ვასაძე, მისი შემოქმედებითი სახე და ნიჭი საბჭოთა სისტემის წიაღში გაიშალა და მომწიფდა. აკაკი ვასაძე თავისი მხატვრული ბიოგრაფიით ქართული თეატრის განვითარების ისტორიასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული.

დავით კლდიაშვილი ყოველთვის გულთბილად იგონებდა სცენაზე ახლად გამოსულ აკ. ვასაძეს, რომელმაც „ირინეს ბედნიერებაში" აბესალომს სახით განახორციელა სწორედ ის ტიპი, რომელიც ასე ცხოვლად ჰყავდა წარმოდგენილი დიდ მწერალს. ეს იყო აკ. ვასაძის შემოქმედების გარიჟრაჟზე გაბედულად გადადგმული პირველი ნაბიჯი ქართულ სცენაზე.

აკ. ვასაძის სახით ქართულმა თეატრმა შეიძინა სცენის მუშაკის ისეთი ტიპი, რომელსაც ახასიათებს თავის თავზე შეუჩერებელი და დაუღალავი მუშაობა, საქმის ღრმა სიყვარული, მუდმივი სწრაფვა სასცენო გამომსახველობითი ხერხების გამდიდრებისა, ცხოვრების მრავალმხრივობის შესწავლისა და ამასთან დაკავშირებით ადამიანის მდიდარი ბუნების შესწავლისადმი და, დასასრულ, შემოქმედისათვის აუცილებელი დაკვირვების უნარი.

ამით აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომელიც მსახიობმა სცენაზე გამოსვლისთანავე მიიპყრო და რომელიც შემდეგში არა თუ არ შენელებულა, არამედ, პირიქით, ყოველი ახალი გამოსვლით, ახალი სახის გამოყვანით სცენაზე თანდათან ძლიერდებოდა.

აკ. ვასაძე მრავალმხრივი, მდიდარი რეპერტუარის მქონე არტისტია, იგი ერთნაირად ძლიერია სახასიათო, კომედიურ თუ გმირულ როლებში. მისი შემოქმედების გაქანება ამ მხრივ ფართო და მრავალფეროვანია.

აკ. ვასაძეს აქვს საოცარი ინტუიცია ადამიანში ტიპიური გამონახვისა, ისეთი ჟესტის მიგნებისა, რომელიც ამ ადამიანს ახასიათებს და გარემომცველთაგან გამოარჩევს. ამასთან მსახიობი ყოველთვის წინა რიგზე აყენებს განსახიერებული პერსონაჟის სოციალურ გარემოს, პირობებს, რაც მის შემოქმედებას ფართო დიაპაზონსა და ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფუნქციას ანიჭებს.

პირველი დიდი წარმატება და საერთო აღიარება მსახიობმა მიიღო „ჰამლეტში" მეფე კლავდიუსის შესრულებით. ეს იყო 1925–26 წლის სეზონში. საზოგადოებას ხიბლავდა და იტაცებდა დანიის პრინცი ჰამლეტი ჯერ განუმეორებელ მესხიშვილისა და შემდეგ რომანტიკოს მსახიობის უშ. ჩხეიძის განსახიერებით. მეფე კლავდიუსი ყოველთვის სქელ ჩრდილში იდგა, შეუმჩნეველი იყო, სპექტაკლიდან ამოვარდნილი რჩებოდა. აკ. ვასაძემ ეს სახე მაღალ მხატვრულ ღირებულებამდე აიყვანა და სცენიურად მეტად კოლორიტულ ჰამლეტს დაუპირისპირა. აქედან დაწყებული აკ. ვასაძის მიერ განვლილი გზა შემოქმედებითი ბრძოლის ცეცხლით არის განათებული.

ქართველ მაყურებელს არასოდეს არ წარეშლება მეხსიერებიდან ქართული ყოფიდან აღებული გმირთა იშვიათი ხელოვნებით შესრულებული სახეები. ასეთია თუნდაც მისი დარისპანი (სერგო კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები"), რომელიც მსახიობს ტრაგიკულ ხილვამდე აჰყავს; ახმა („ანზორი"), ბრძოლის ვნებით აღსავსე, აკ. ვასაძის შემოქმედებას ახასიათებს უმნიშვნელო დეტალის გამორჩევა და მისი მოსწრებულად გათამაშება. მსახიობის მიერ შექმნილ მრავალ პორტრეტს შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ისეთებს, რომლებიც დიდხანს იცოცხლებენ და სასცენო ხელოვნების განვითარების გზას თავიანთ კვალს დაამჩნევენ. ასეთია: მენგო („ცხვრის წყარო"), კრისპინ (სინგის პიესა „გმირი"), გუნიავა („ღვარძლი"), შმაგა („უდანაშაულო დამნაშავე"), შადიმანი („გ. სააკაძე"), ლენინი („ნაპერწკლიდან"), ბერსტი („პლატონ კრეჩეტი") და მრავალი სხვა.

მაგრამ მის მიერ შექმნილ სახეებში აუცილებლად უნდა გამოიყოს ფრანცი („Jn tiranos") და იაგო („ოტელო"). ორივე როლში აკ. ვასაძემ უკვე ნამდვილი მხატვრული სიმწიფე გამოაჩინა. აღნიშნულ როლებში მსახიობმა თავისი ნიჭის ერთი მშვენიერი თვისებას გაუსვა აგრეთვე ხაზი: ეს არის მასალის ორიგინალური განმარტება, ნამდვილ ვირტუოზობამდე აყვანილი სასცენო ტექნიკა და მხატვრული ოსტატობა. ძნელად თუ ვინმეს აქვს ჩვენში ისე დაუფლებული სცენის შინაგანი იდუმალება, როგორც ვასაძეს. ყოველი როლი მას უმნიშვნელო დეტალამდე აქვს დამუშავებული, მოფიქრებული და ჰარმონიულ მთლიანობაში მოცემული. მიმიკა, ჟესტი, ინტონაცია, ხელების დაჭერა, თვალების გაელვარება, თქმის მანერა, ყოველივე, რაც მსახიობის შემოქმედებითს იარაღს შეადგენს, აკ. ვასაძეს ორგანულად აქვს შეთვისებული, ისეთი როლების შესრულებისას, როგორიც არის ფრანცი და იაგო, მსახიობი ტკეპნილი გზით როდი მიდის. იგი თავის, საკუთარ შემოქმედებითს პოზიციებს იმუშავებს, სწავლობს ეპოქის სტილს, მანერას, რაც ადამიანს ტიპიურად ხდის. აკ. ვასაძის მიერ შექმნილი ფრანცის სახე უკვე ფართო ფილოსოფიურ განზოგადოებამდე ადის და იგი გარკვეული ეპოქის დამახასიათებელ პერსონაჟად იქცევა.

სწორედ იშვიათი სასცენო ტექნიკა და ჭეშმარიტი აქტიორული ოსტატობა აკ. ვასაძეს შესაძლებლობას აძლევს იყოს ესოდენ მრავალფეროვანი და მეტყველი. აკ. ვასაძის შემოქმედებითი მუშაობის უკანასკნელ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს მის მიერ განსახიერებული ლეგენდარული გმირი კიკვიძე. ამ როლის შესრულებით მსახიობმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ქართული სცენის ოსტატის სახელი. მაღალ გმირულ გატაცებასა და თავდადებასთან ერთად მსახიობმა ეს როლი ღრმა ადამიანური ბუნებით და ნამდვილი პატრიოტიზმის გრძნობით აღჭურვა.

აკ. ვასაძე მრავალფეროვანი მარტო თავის აქტიორულ შემოქმედებაში როდია. მისი დიდი ენერგიისა და საქმის სიყვარულის მაჩვენებელია მოღვაწეობის მრავალმხრივობაც. აკ. ვასაძე ამჟამად რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია, იგი ერთ-ერთი დაფიქრებული და ნიჭიერი რეჟისორია და იმავე დროს ის ფართო საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა— იგი საქ. უმაღლეს საბჭოს დეპუტატია.

სტალინური პრემიის ლაურეატობა აკ. ვასაძეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ეს ჯილდო ჩვენი სცენის ერთ-ერთ სახელოვან წარმომადგენელს ამხ. აკ. ვასაძეს უეჭველია შემდგომი მუშაობისათვის მეტ იმპულსს მისცემს.

შალვა აფხაიძე.

დიდი თემის მხატვარი

უჩა ჯაფარიძის შემოქმედებითი გზა პირდაპირი ზეაღმავალი ხაზია. არსებითად, თავისი ბუნებით, უჩა ჯაფარიძე ყოველთვის რეალისტი იყო, ნამდვილი საბჭოთა მხატვარი, რომლისთვისაც ხელოვნება სინამდვილის შეცნობის, გახსნისა და გარდაქმნის საშუალებაა.

მხატვრის სწავლისა და მომწიფების პერიოდი 15 წელს გაგრძელდა. სწავლების პირველი საფეხური იყო მოსე თოიძის სტუდია, შემდეგ—საქართველოს მხატვართა აკადემია, სადაც იმ ხანებში მუშაობდა და ასწავლიდა საუკეთესო საბჭოთა მონუმენტალისტი ევგ. ლანსერე. აკადემიის დამთავრების შემდეგ უ. ჯაფარიძე განაგრძობს სწავლას მოსკოვში. იქ იგი გულმოდგინედ ეცნობა ხელოვნების დიდ ოსტატებს (ტრეტიაკოვის გალერეა, ახალი დასავლეთ ევროპული ფერწერისა და ხელოვნების მუზეუმი და სხვა). 1936 წელს უჩა ჯაფარიძე თავისი დებიუტებით გვევლინება დამოუკიდებელ ოსტატად, გაღრმავებული ფსიქოლოგიური პორტრეტებისა და დიდი კომპოზიციების ავტორად, სადაც გახსნილია მისი მხატვრული და პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მაგრამ დღესაც, სტალინური პრემიის მინიჭების შემდეგაც კი უჩა ჯაფარიძე ფიქრობს, რომ მოსაპოვებელი და მისაღწევი მისთვის ჯერ კიდევ ბევრია, რომ ჯერ კიდევ დიდი შეცადინეობა, ხანგრძლივი სწავლა და მუშაობაა საჭირო, რათა დაეუფლოს თავისუფალ მანერას, მეტყველ ფერებს და საღებავებს ხატვაში.

— თქვენ ლაპარაკობთ ჩემს მეტად აკადემიურ მანერაზე, — გვითხრა მან საუბარში:—ეს მართებული შენიშვნაა, მაგრამ მე განზრახ და შეგნებით ვმუშაობ ჯერჯერობით ამ მანერით, ვცდილობ დავეუფლო მას, რომ შემდგომში გადავიდე ფუნჯის უფრო ფართო და თავისუფალ მოსმაზე. მე რომ ახალგაზრდობიდანვე ფართო ფუნჯით დამეწყო მუშაობა, მოსალოდნელი იყო საფრთხე, რომ დილეტანტად დავრჩებოდი. ეს სიტყვები მასში ამჟღავნებს მხატვარს, რომელიც თავის თავს დიდ მოთხოვნას უყენებს.

შრომისმოყვარეობა და უაღრესი კეთილსინდისიერება, აგრეთვე შემოქმედებითი მოუსვენრობა, რომელიც მას წინსვლის ძალას აძლევს, უჩა ჯაფარიძის განმასხვავებელი თვისებებია.

ჩვენ ვსთქვით, რომ ახალგაზრდა ლაურეატის შემოქმედებითი გზა გაშლილი ისარივით პირდაპირი და ზეაღმავალია. საკმაოა თვალი გადავავლოთ ლენინის მუზეუმსა და საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში გამოფენილ მის ნამუშევრებს, რომ უშეცდომოდ, ცნობების მიუღებლად განვალაგოთ ისინი ქრონოლოგიურად. 1938 წელს დახატული ტილო ბევრად უფრო ძლიერია 1937 წელს დახატულ სურათზე. 1941 წელს შესრულებული სურათი გვიჩვენებს ახალ, უმაღლეს ხარისხს 1940 წლის ნამუშევართან შედარებით. ეს თვალში ეცემა ყველას, თვით იმ ადამიანსაც კი, რომელიც მაინცდამაინც დიდად ვერ ერკვევა ფერწერაში. ამასთან მხატვრის ზრდის მაჩვენებელი მრუდე ხაზი რაც დრო გადის, მით უფრო სწრაფ აღმავლობას გვიჩვენებს. აი რამდენიმე მაგალითი ამის საილუსტრაციოდ.

ავიღოთ 1936 წლის ფართო ტილო კომპოზიცია „ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე" (ლენინის მუზეუმი). სიუჟეტი: გაცხარებული და ამასთან მეგობრული პოლიტიკური დავა რაღაც მნიშვნელოვან თემაზე. კომპოზიციაში იგრძნობა ერთგვარი შეზღუდულობა, ახალგაზრდა სტალინის ფსიქოლოგია ნაკლებად არის გახსნილი. 1937 წლის პორტრეტი „სტალინი მუშაობის დროს", რომელიც რეპროდუქციებით ცნობილია მილიონი საბჭოთა ადამიანისათვის, უკვე წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია უ. ჯაფარიძის შემოქმედებაში. ცხადია, უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებული პორტრეტი სწორედ ისევე, როგორც ბევრი სხვა მხატვრის მიერ შესრულებული პორტრეტი, არა სწყვეტს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მხატვრული განსახიერების საკითხს. მიუხედავად ამისა, უჩა ჯაფარიძემ შესძლო გადმოეცა ბელადის ბევრი თვისება—მოუდრეკელი ნებისყოფა, აზროვნების სიღრმე, სიმშვიდე. ერთის სიტყვით, მან შესძლო გამოეკვეთა ბელადის სახე.

1938–39 წლებში უ. ჯაფარიძე სწერს დიდ პანოს „მეცხოველეობა"-ს საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონისათვის. ეს ახალი ნაბიჯია გადადგმული კედლის მონუმენტალური ფერწერისაკენ, რომელიც, უეჭველია, საბჭოთა სახვითი ხელოვნების წამყვან ჟანრად გახდება. სოციალისტური აღმშენებლობის გრანდიოზული მაშტაბი, მისი დიდი კულტურული აღმავლობა, კულტურის სასახლეები, კლუბები, თეატრები, წითელი არმიის სახლები, აეროსადგურები, ჩვენი ცხოვრების მთელი საზოგადოებრივი ხასიათი, — ყოველივე ეს მოითხოვს დიდ ფორმებს. 1-2 კვადრატულ-მეტრიანი დაზგის სურათი იყო გაბატონებული ჟანრი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა სურათს ყიდულობდა ბურჟუა და შეძლებული ინტელიგენტი, რომელიც 4-5 ოთახიან ბინაში სცხოვრობდა, მაგრამ ახლა დაზგის სურათმა, რომელიც ინარჩუნებს თავის საპატიო და მნიშვნელოვან ადგილს ჩვენს მხატვრობაში, პირველი ადგილი მაინც მონუმენტალურ ფრესკს უნდა დაუთმოს. რასაკვირველია, ხელოვნება ადლით არ იზომება. თავის-თავად ცხადია, კარგად დახატული ყვავილი ან ვაშლი სჯობია უნიჭოდ შესრულებულ კედლის სურათს, რასაც არ უნდა გამოხატავდეს იგი, მაგრამ ყველა თანაბარ პირობებში ჩვენ უფლება გვაქვს ვიქვათ, რომ დიდი იდეები და სიუჟეტები მოითხოვენ დიდ ფორმებს და ფართო ტილოს, რომლებიც დიდი მასობრივი ამბების წარმოსახვის საშუალებას იძლევიან.

უჩა ჯაფარიძემაც სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის შესრულებული თავისი ნამუშევრით გვიჩვენა თავის გემოვნება და მისწრაფება დიდი ფორმისაკენ. შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ფრესკა „იმელის" თბილისის ფილიალში „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს", რომელზედაც მხატვარი 1940 და 1941 წლების განმავლობაში მუშაობდა.

ამ დიდ სურათზე მუშაობის პარალელურად მხატვარი განაგრძობდა მუშაობას პორტრეტებზე, ნახატებსა და პეიზაჟებზე. ძალიან ძლიერი პორტრეტია „ლ. პ. ბერია", რომლის დედანი მოსკოვის ერთ-ერთ მუზეუმშია. იშვიათის სინატიფით და ღრმა განცდით არის დაწერილი ზ. ფალიაშვილის პორტრეტი, რომელიც გადმოგვცემს ხელოვნების დიდ ადამიანს და რამდენიმე მიგნებული დეტალით გვაგრძნობინებს განსვენებული კომპოზიტორის მაღალ არტისტულობას. მეტად ორიგინალურად, სიახლით და ლირიულად ხატავს ჯაფარიძე შოთა რუსთაველს (საქართველოს მუზეუმი). მკაფიო და ფრიად კოლორიტული ნამუშევარი „რაჭველი მესტვირე" მეტყველებს იმას, რომ მხატვარს ბევრი რამ შეუძლიან გააკეთოს ქართული ფოლკლორის სფეროშიც. ხატვის ოსტატობა უ. ჯაფარიძემ გამოამჟღავნა აკაკი წერეთლის პორტრეტში, რომელიც ტუშითაც არის შესრულებული. აქ მხატვარი მისდევს ფსიქოლოგიური რეალიზმის რეპინისეულ ტრადიციას. ლიტერატურულ მუზეუმში გამოფენილია უ. ჯაფარიძის პატარა აკვარელი „ვაჟა-ფშაველას ოთახი", რომელიც განსაკუთრებული ოსტატობით, გულთბილობით და ინტიმობით არის დაწერილი. იქვეა მხატვრის უკანასკნელი ნამუშევარი „დავით აღმაშენებელი" (ზეთი, 1942 წელი), ეს ნიჭიერი ოსტატის სავსებით მომწიფებული ნაწარმოებია, რომელიც ამჟღავნებს მის მაღალ ფერწერითს ტექნიკას.

ახლა უფრო ვრცლად ვილაპარაკოთ ახალგაზრდა ლაურეატის მთავარ ნამუშევარზე „იმელის" ფრესკზე, რომელსაც უჭირავს „იმელის" შენობის სხდომათა დარბაზის ერთ-ერთი კედელი. ამ სურათის სიუჟეტი საყოველთაოდ ცნობილია. ეს არის ისტორიული საპირველმაისო დემონსტრაცია „სალდათის" ბაზარზე, როცა ახალგაზრდა სტალინის წინამძღოლობით თბილისის პროლეტარიატმა პირველად ააფრიალა წითელი დროშა ქალაქის ცენტრში. „ამბავი, რომელიც მოხდა კვირას 12 აპრილს (ძველი სტილით) თბილისში,—სწერდა „ისკრა" 1901 წლის ივლისის მე-6 ნომერში,—წარმოადგენს ისტორიულად მნიშვნელოვან მოვლენას მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა".

საჭირო არ არის მთლიანად მოვიყვანოთ ის ამბავი, რადგან მკითხველი მას იცნობს ამხ. ლ. პ. ბერიას ცნობილი წიგნიდან და „იმელის" თბილისის ფილიალის მიერ გამოცემულ კრებულიდან. მხატვარმა ჯაფარიძემ აიღო ამ ისტორიული მოვლენის კულმინაციური პუნქტი, როცა მუშები იმ დროს მოედანზე მყოფ გლეხებთან ერთად თავიანთი მსვლელობის დროს შეეჯახნენ სემინარიის ყოფილ შენობასთან მეფის „ოპრიჩნიკების" მრავალრიცხოვან რაზმს, დემონსტრაციის მონაწილეთა გადმოცემით, ამხანაგ სტალინის რჩევის თანახმად, დემონსტრანტებმა ააფრიალეს წითელი დროშა, მყისვე, გაჩნდა რომელიღაც დუქნიდან გამოტანილი მაგიდა, ცოცხის ტარზე მიამაგრეს დროშა და ამართეს შეგროვილ ხალხის თავზე, ცხენოსანი კაზაკები და ქვეითი პოლიციელები მივარდნენ მუშებს დროშის წასართმევად. შინდის ჯოხებით შეიარაღებული მუშები ლომებივით იბრძოდნენ. ორმოც მუშაზე მეტი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს და დააპატიმრეს, მაგრამ პოლიციელებსაც საკმაოდ მოხვდათ. თვით პოლიცმეისტერი ცხენიდან ჩამოვარდა და ფეხი იღრძო.

უ. ჯაფარიძემ, როგორც ყოველთვის, აირჩია სადა და მკაფიო, სიმეტრიული და ლაკონიური კომპოზიცია. ფრესკის ცენტრში სდგას სტალინი წინგაწვდილი ხელით, ორი მხრიდან მისკენ მიუმართავს სახე ორ ძალზე აღელვებულ მუშას. უკანა პლანზე, თითქმის იმავე ღერძზე, არის მუშათა ჯგუფი აფრიალებული წითელი დროშით. ტილოს მარცხენა ნაწილი უჭირავს დემონსტრანტებს. აქ ხასიათების, ასაკის და ჩაცმულობის დიდი მრავალფეროვნებაა — აქ არიან რკინიგზის სახელოსნოს მუშები, ჩოხიანი გლეხები, აღფრთოვანებული სტუდენტი, ატლასის [illegible] გამოწყობილი, ძალზე აღშფოთებული კნეინა და თბილისელი კინტო გაბოროტებული სახით. სურათის მარჯვენა მხარეზე იერიშზე გადასული პოლიციაა, ვხედავთ ცხენოსანთა ცალკეულ შეტაკებას მუშებთან. წინა პლანზე მოსჩანს საბაზრო კალათები გადმოცვენილი ბოსტნეულით, რასაც ანათებს შუადღის მცხუნვარე მზე, საჭირო იყო დიდი ნიჭი და მომწიფებული ოსტატობა, რომ ასე მკაფიოდ და გარკვეულად ასახულიყო ეს ფართო და რთული მოვლენა. უკვე ვსთქვით, რა სწრაფად და იმავე დროს დაჯერებით მიდიოდა მხატვარი დიდი პოლიტიკური თემის დაძლევისაკენ. ჩვენ ვიცით, რომ ბოლშევიკების პარტიისა და დიდი სტალინის გრანდიოზული ბრძოლა შეადგენდა მისი შემოქმედების მთავარ შინაარსს. პოლიტიკურმა მიზანსწრაფვამ, დაკვირვებულობამ, ღრმა შემოქმედებითმა კეთილსინდისიერებამ უ. ჯაფარიძეს საშუალება მისცეს წარმატებით დაესრულებინა ეს მონუმენტალური ნაწარმოები ერთ-ერთი მკაფიო მხატვრული ფურცელი რევოლუციური თბილისის ისტორიიდან.

დიდმა სამამულო ომმა ფაშისტ ბარბაროსებთან არა თუ შეანელა, პირიქით, გააძლიერა კიდეც უ. ჯაფარიძის შემოქმედებითი ენერგია. მხატვარი ეწევა საზოგადოებრივ მუშაობას დილიდან საღამომდე, როგორც ფერწერის კათედრის ხელმძღვანელი სამხატვრო აკადემიაში და როგორც ბერიას სახელობის რაისაბჭოს დეპუტატი. ამასთან მან გააქტიურა თავისი შემოქმედებითი მუშაობაც, — მოლბერტზე მის სტუდიაში ვხედავთ თითქმის უკვე დამთავრებულ სურათს, რომელიც გამოკიდული იქნება მაისში საქართველოს მხატვართა მიერ თავდაცვის თემაზე შესრულებულ ნამუშევართა გამოფენაზე.

ქალაქში, რომელიც ეს-ეს არის გამოუგლეჯიათ ხელიდან ფაშისტ კაციჭამიებისათვის სახლის აივანზე სდგას მედიცინის და. იგი ცდილობს შეაკავოს დაჭრილი მებრძოლი, რომელიც ლამობს ხელიდან გამოგლიჯოს მას და მიეშველოს თავის მებრძოლ ამხანაგებს. ეს მეომარი შეხვეული თავით მთლიანად პატრიოტული აღტყინებისა და მისწრაფების განსახიერებაა, მაღლა აწეული მარჯვენა ხელით ის მაშხანას არხევს, მედიცინის ქერათმიანი დაც მოცემულია ძლიერ მოძრაობაში. ღრმა გულწრფელობით დაწერილი ეს სურათი უეჭველად მიიზიდავს მაყურებლის ყურადღებას. მასშია განსახიერებული საბჭოთა ადამიანების გმირობა, იგი ლაპარაკობს ჩვენს მომავალ აუცილებელ გამარჯვებაზე. მხატვრისთვის ეს ტილო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. ამ სურათში ნიშანწყალიც აღარ არის იმ სიმშრალისა, რომელიც ემჩნეოდა უ. ჯაფარიძის ადრინდელ კომპოზიციებს. დიდმა სამამულო ომმა გაიტაცა ჩვენი ოსტატი, აღჭურვა იგი ახალი ფერადებით.

„იმელის" ვრცელ დარბაზში, სცენის ახლოს დარჩა თავისუფალი კედელი. ამ კედელზე ჯაფარიძეს უნდა დახატა 1941 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში. გაივლის კიდევ ცოტა ხანი, მიწის პირისაგან აღგვილი იქნება ფაშისტური უწმინდურება და ჩვენი მხატვარი მოხატავს თავის მეორე ფრესკს—საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ძლევამოსილ მსვლელობას.

ევგ. კანტაროვიჩი.

ოცნება და საფლავები

ალ. სულავა

კაცობრიობის ისტორიას ახსოვს მრავალი გამოჩენილი ადამიანის ოცნება, რომლის განხორციელებასაც ბედნიერება მოუტანია კაცობრიობისათვის. მაგრამ არის ოცნება და ოცნებაც. განა შეიძლება ოცნება ეწოდოს ფაშისტთა მთავარი ჯალათის ჰიტლერის ბოდვას კაცობრიობის დამორჩილების შესახებ? არა, ეს გაუგონარი ბარბაროსული ბოროტებაა, რომელიც თავისი შედეგით კაცობრიობას სისხლსა და ცრემლში ჩახშობას უქადის.

ევროპის ხალხთა დაპყრობისა და დამონების შემდეგ გერმანიის ფაშისტთა ურდოები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას — სოციალიზმის დიად სამშობლოს, მოისურვეს მისი ელვისებური დარტყმით განადგურება. ფაშისტი მხეცები მძიმედ მოსტყუვდნენ — საბჭოთა ხალხმა, მისმა წითელმა არმიამ გმირული წინააღმდეგობა გაუწია შემოსეულ ურდოებს. ელვისებური გეგმა ჩაუფლავდათ, მაგრამ რადგან დროებით ერთგვარ წარმატებას მაინც მიაღწიეს, ნაადრევ სიხარულსა და ოცნებას მიეცნენ არა მარტო მათი მთავარი ბანდიტები, არამედ გამხეცებული ეფრეიტორები, ფელდფებელები და ჯარისკაცები.

საშინელებაა, როდესაც ნაადრევ ოცნებასა და სიხარულს ეძლევიან უგუნური, წარმატებით გაბრუებული მხეცი ჯარისკაცები. ისინი სპობენ თავიანთ გზაზე ყველაფერს. მათთვის არ არსებობს არაფერი კაცობრიული, წმინდათა წმინდა. ისინი მაშინ პირუტყვები არიან, ველური ინსტინქტების მონები. საბჭოთა კავშირის მდიდარი მიწების დაპყრობის განზრახვამ შეახურა ფაშისტ ჯარისკაცთა ფანტაზია და პირსისხლიან მძარცველთა და ყაჩაღთა ბრბოდ აქცია ისინი.

ევროპის დამორჩილების წარმატებით გაბრუებულნი ადვილად ფიქრობდნენ ისინი საბჭოთა ქვეყნის დაპყრობასა და დამონებას. რეგვენმა ეფრეიტორებმა და ფელდფებელებმა დღიურების წერაც კი დაიწყეს, სადაც აღნიშნავდნენ თავიანთ შთაბეჭდილებას და მხეცობის ნიმუშებს. მხეცი ფუქსი თავის დღიურში სწერდა — საკუთარი ხელით დავხვრიტე ორმოცდაათი მოხუცი და ბავშვიო. ეფრეიტორი ჰოხელი კმაყოფილებით აღნიშნავდა — „დამღამობით ვაწამებთ რუსებსო".

გაუპატიურებული, ძუძუებმოჭრილი ქალებისა და ხიშტებზე წამოგებული ბავშვების საშინელ ამბებზე უსირცხვილოდ და გულცივად სწერდნენ ეს ნამდვილი მხეცები და ამით ტრაბახობდნენ კიდეც. გასაკვირველი იქნებოდა, რომ ფაშისტურ გერმანიას, რომელმაც უარჰყო გოეთეს გერმანია, არ წარმოეშვა პირსისხლიან მკვლელთა და მნგრეველთა ურდოები.

როდესაც ფაშისტური ჯარი უკრაინაში შეიჭრა, ვიღაც თავხედი ობერ-ოფიცერი კრუზე სწერდა თავის დედას: „ჩვენ მივაღწიეთ მდიდარ უკრაინას. აქ პურის ისეთი ყანებია, რომლის მსგავსი არსად არ გვინახავს. როცა უკრაინას დავიპყრობთ და გავრეკავთ აქედან უკრაინელებს და რუსებს, ნახავ მაშინ როგორ ვიცხოვრებთ".

ამ მეოცნებე ბანდიტს ვერ წარმოედგინა მაშინ, თუ რა ძვირად დაუჯდებოდა ეს აღფრთოვანება: მისი სიხარული სიკვდილმა შესცვალა.

მეორე ბანდიტი ვიღაც მაიერი წერილში, რომელიც ცოლისთვის უნდა გაეგზავნა ბრიუსელში, სწერდა: „ძვირფასო გრეტა, შემდეგი ამანათით გამოგიგზავნი დონის განთქმულ შამპანიურს, რათა ჩემი სადღეგრძელო შესვა. ხოლო შემდეგ, როგორც კი რუსების ეს ჯოჯოხეთური კამპანია დამთავრდება, ჩვენ ავიგებთ საუცხოო ვილას დონის ნაპირას და ჩიტუნებივით ვიჭიკჭიკებთ სამხრეთის მზის ქვეშ".

ამ ყაჩაღს არ დასცალდა წარმოეთქვა სადღეგრძელო დონის შამპანიურით და ეჭიკჭიკა დონის ნაპირას—საბჭოთა ტყვიამ ბოლო მოუღო მის ბინძურ ოცნებასა და არსებას.

მრავალი მილიონი ბანდიტის სიკვდილი იყო საჭირო, რომ ჯარისკაცების ეს გარეტიანებული ფაშისტური ბრბო ოდნავ მაინც ჩაფიქრებულიყო თავის ბედზე, გამომშვიდებოდა თავის ბინძურ ოცნებებს. სამამულო ომის ცეცხლმა, წითელი არმიის გმირულმა წინააღმდეგობამ მათი ოცნება შესცვალა ისეთი სინამდვილით, რაზედაც მათ წარმოდგენა არა ჰქონდათ და არც უნდოდათ ჰქონოდათ.

შეიცვალა მათი დღიურების ტონიც. ჯარისკაცი შულცი თავის დღიურში სწერდა: „ჩვენ ვფიქრობდით, როგორც წინათ, მანქანებით მიახლოვებას ობიექტებთან, სწრაფი იერიშით აღებას, საჩუქრების მიღებას, დასვენებას და შემდეგ კიდევ ერთ ბრძოლაში მონაწილეობას. მაგრამ ასე არ გამოვიდა". დიახ, არ გამოუვიდათ, ისე, როგორც ფიქრობდნენ. მათ ბევრი ტანკები ჰყავდათ, მაგრამ ნათლად ხედავდნენ, როგორ ელობებოდნენ წინ საბჭოთა ტანკები, არტილერია და საბჭოთა მებრძოლები, რომლებიც უდიდესი გმირობით იცავენ თავიანთ მიწა-წყალს.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მატულობდა სასოწარკვეთილება. დამახასიათებელია ამ მხრივ 143-ე პოლკის ჯარისკაცის გედელის დღიური. იგი ჯავრობს, როგორ სასტიკად მოგვატყუესო: „ჩვენ ვწყევლით იმ საათს, როცა ფეხი შევდგით ამ ველურ მიწაზე". თურმე ომი საბჭოთა კავშირთან არც ისე ადვილი საქმე ყოფილა, როგორც მათ ეგონათ. „ეს საშინელი ქვეყანაა"-ო, ჩაუწერია თავის დღიურში ბერნარდ შმიდტს, 248-ე საველოსიპედო ესკადრონის ჯარისკაცს.

სიკვდილი ერთად-ერთი საჩუქარია, რომელსაც პოულობენ ამ „საშინელ მიწაზე" ფაშისტთა ჯარისკაცები. მოჟაისკის მიმართულებით ტყვედ ჩავარდნილ გერმანელ ჯარისკაცებს აღმოაჩნდათ წერილები, რომელთა გაგზავნაც მათ ვერ მოასწრეს. ამ წერილებში ნათლად არის გამოხატული საბჭოთა წინააღმდეგობის ძალა. დიახ, ძვირად დაუჯდათ ფაშისტ დამპყრობლებს ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრა. ჯარისკაცი სიმონ ბაუმერი სწერდა თავისიანებს: „ჩვენ ვიმყოფებით მოსკოვიდან ასი კილომეტრის მანძილზე, მაგრამ მეტად ძვირად დაგვიჯდა ეს... თუ ომი ნახევარ წელიწადს კიდევ გაგრძელდა, დავიღუპებით".

ჯარისკაცი რუდოლფ რუპი თავის დედას აცნობებდა: „სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდება, რადგან რუსები შეუპოვრად გვეწინააღმდეგებიან. ბევრი ჩვენგანი ვერასოდეს ვერ ნახავს თავის სამშობლოს".

საბჭოთა ჯარის გმირულმა წინააღმდეგობამ და მისმა გამანადგურებელმა იერიშებმა ისეთი რამ ათქმევინა ეფრეიტორ სალფინგერს, რომლის მსგავსს იგი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა.

„მოსკოვამდე ცოტა მანძილი დარჩა, — სწერდა იგი თავისიანებს: —მაგრამ მაინც, მე მგონია, განუსაზღვრელად შორსა ვართ მისაგან.. რომ შეკრიბო ამ ომში დახოცილი ყველა გერმანელის გვამი და გაამწკრივო ისინი, მივიღებთ დაუსრულებელ ლენტს, რომელიც ბერლინამდეც კი მიაღწევს. მივაბიჯებთ გერმანელების გვამებზე და ვტოვებთ თოვლის ზვავებში საკუთარ დაჭრილებს".

ყირიმის აღებისას გერმანელი ოფიცრები ჯარისკაცებს დასვენებას და შვებულებას ჰპირდებოდნენ. შემდეგ ეს დაპირება დაუკავშირეს სევასტოპოლის აღებას. მაგრამ სევასტოპოლი ვერ აიღეს და დაპირება დაპირებად დარჩა. ახლა ისინი ოცნებობენ იმაზე, როგორმე ცოცხალნი გავიდნენ ჩვენი ქვეყნიდან. ფელდფებელი განს ვაგნერი სწერდა: „თუ ჩვენ ცოცხალნი დავბრუნდით სახლში, მადლობა უნდა გადავუხადოთ ღმერთს". მაგრამ ვაგნერს არ დასცალდა მადლობა გადაეხადა ღმერთისათვის: წითელარმიელის ხიშტმა სამარე გაუთხარა მას.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს ოდნავადაც არ ანელებს გერმანელ ოკუპანტთა მხეცობას. ტყუილად როდია ნათქვამი: დაჭრილი მხეცი ორმაგად საშიშარიაო. იმ დიდმა ჭრილობამ, რომელიც წითელმა არმიამ მოსკოვთან მიაყენა ფაშისტურ ურდოებს, უფრო გააბოროტა ფაშისტური ბანდები. უკან დახევისას სწვავენ და ანადგურებენ ისინი ყველაფერს და სავსებით ამართლებენ თავიანთი მეთაურის სიტყვებს: ჩვენ ბარბაროსები ვართ და გვინდა დავრჩეთ ბარბაროსებად"-ო.

ბარბაროსებს არ ესმოდათ, რას სჩადიოდნენ ფაშისტური ბარბაროსები კი „შეგნებულად" ანგრევენ და სისხლში ახშობენ კაცობრიობის კულტურას. მათ არ დაზოგეს არც საკუთარი და არც ევროპის მწერლობა, მხატვრობა და ხუროთმოძღვრება. გერმანელი ფაშისტები სცდილობენ გასთელონ რუსი ხალხის ნაციონალური კულტურა, შეურაცხყონ მათი ნაციონალური გრძნობები. ჰიტლერელ ბარბაროსებისათვის არ არსებობს წმინდათა წმინდა. განსაკუთრებული გაბოროტებით ცდილობენ ისინი იმის განადგურებას, რასაც მისწვდებიან.

გერმანელმა ფაშისტებმა დასწვეს რუსული კულტურის დიდი წარსულის ძეგლი — ისტრის მონასტერი, გააპარტახეს ჩაიკოვსკის, ჩეხოვის, ტურგენევის სახლები, მიწასთან გაასწორეს და შეურაცხყვეს უკრაინის ხალხის სიამაყის — ტარას შევჩენკოს საფლავი, დალეწეს მისი ძეგლი, დაამტვრიეს ლვოვში პოლონეთის დიდი პოეტის ა. მიცკევიჩის ძეგლი.

ფაშისტმა ბარბაროსებმა შებილწეს რუსი ხალხის დიდი გენიოსის ლევ ტოლსტოის სახლი იასნაია პოლიანაში. რუსი ხალხის ამ წმინდათა წმინდა ადგილზე ფეხი შესდგეს რეგვენმა გერმანელმა ფაშისტებმა. გარდა იმისა, რომ მათ დასწვეს და გაათახსირეს ტოლსტოის სახლი და ის ოთახი, სადაც ტოლსტოი სწერდა თავის „ომსა და მშვიდობას", მათ ჩაიდინეს უდიდესი ბოროტება — ტოლსტოის საფლავის გვერდით დამარხეს თავიანთი ტილიანი ჯარისკაცები. განა შეიძლება ამაზე სამარცხვინო ცინიზმის ჩადენა?

„როდესაც ტოლსტოის საფლავის გვერდით გერმანელებმა თავიანთი ჯარისკაცების საფლავების გათხრა და ჯვრების მიზიდვა დაიწყეს, — სწერდა მ. შემლოვა თავის წერილში „იასნაია პოლიანას შავი დღეები", — მე ვუთხარი გერმანელ ოფიცერს, რომ ეგ ყოვლად შეუძლებელიამეთქი. მან მიპასუხა: გასაგებია, თქვენ, ალბათ, ჯვრები გაშინებთ და არა საფლავებიო".

გერმანელმა თავხედმა ოფიცრებმა რა იცოდნენ, რომ საბჭოთა ხალხს არც ჯვრები აშინებს და არც გერმანელთა საფლავები. პირიქით, ეს საფლავები უდიდესი დამამტკიცებელი საბუთია მისი აქტიური ბრძოლისა და შურისძიებისა. საბჭოთა ხალხმა იცის, რომ ოკუპანტთა გზა საფლავისაკენ მიდის. ი. ერენბურგი ერთ თავის წერილში („გაზაფხული დეკემბერში") სწერდა რუსი წითელარმიელის შესახებ, რომელსაც ჯარისკაცის საფლავის ჯვარზე მიეწერა: „მიდიოდა მოსკოვისაკენ, მოხვდა საფლავშიო".

გერმანელი გენერლებისა და ოფიცრების თავხედური ცინიზმი, მორალური სიბინძურე, სულიერი სიცარიელე და სიმხეცე მთელ მსოფლიოში ცნობილია. მაგრამ მათ ერთხელ კიდევ გამოაშკარავეს საქვეყნოდ თავიანთი უვიცობა და ველურობა, როდესაც სცადეს თავის მართლება იასნაია პოლიანაში ჩადენილი საძაგლობის დასაფარავად: მათ კაცობრიობის უდიდესი მწერალი ლევ ტოლსტოი მხატვრად გამოაცხადეს — ჩვენ მხოლოდ ტოლსტოის მიერ დახატული რამდენიმე სურათი მოვიპარეთო.

როდესაც 1919 წელს დენიკინი ტულას უახლოვდებოდა, იასნაია პოლიანა საომარი მოქმედების არეში მოხვდა. საბჭოთა მთავრობამ მაშინ დაადგინა, მიაქციოს სამხედრო საბჭომ ყურადღება ტოლსტოის ცხოვრების ძეგლის დაცვას და მიიღოს სათანადო ზომებიო. სამხედრო საბჭომ მეორე დღესვე აცნობა დენიკინის სარდლობას, რომ იასნაია პოლიანა გამორიცხულია სამხედრო მოქმედების რუკიდანო.

რა შეედრება ჰუმანიური მოქმედებით ამ ფაქტს? საბჭოთა მთავრობა უმძიმეს დღეებშიაც არ ივიწყებდა თავისი ხალხის უძვირფასესი ძეგლების დაცვას. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, თუ იგი არ აპატიებს გერმანელ ველურებს ტოლსტოის სახლის დარბევასა და აკლებას.

დაჭრილი მხეცი საშიშარია. მაგრამ ბევრი გერმანელი ჯარისკაცი თითქოს იწყებს თავის ბედზე ფიქრს. წითელი არმიის შეუნელებელი შეტევის ცეცხლი შიშს იწვევს მასში. გერმანელმა ჯარისკაცმა ოტო შვანპატერმა, ყირიმის ფრონტზე ნამყოფმა, ძლიერ კარგად გამოხატა თავისი ტრაგედია. როცა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, თავის ცოლს მისწერა: „რუსეთი ჩემი ახალგაზრდობის საფლავიაო". ეს მწარე გაკვეთილის შედეგად ნათქვამი სიტყვებია და მათი გამეორება შეუძლიან მილიონ გერმანელ ოკუპანტს, რომლის სიცოცხლე საბჭოთა მიწის ველებზე ბოლოვდება.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 5894